გაზ. "მთავარი გაზეთი". 04.03.04
სალომე ჯვებენავა

"პოეზიის სასახლე" კოჯრის კარიბჭესთან

დიდი ხნის გსნმავლობაში ბევრს აინტერესებდა, რას წარმოადგენდა სოლოლაკში, იქ, სადაც ქალაქი მთავრდება და კოჯრისკენ მიმავალი გზა იწყება, თეთრი თაიგულის ფორმის სამი კოშკი. გუშინ საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში გამართულ გამოფენა-კონფერენციაზე სახელწოდებით "ბუნებისა და არქიტექტურის დიალოგი" ყველაფერს ნათელი მოეფინა.

კოჯრის კარიბჭესთან აღმართული ახალი ნაგებობის ავტორმა, არქიტექტორმა შოთა ბოსტანაშვილმა მას "პოეზიის სასახლე" უწოდა. სამი კოშკიდან ერთი "ოქროს საწმისის", მეორე "ვეფხისტყაოსნის", მესამე კი შემოქმედებითი თანამედროვეობის – სივრცედ განფენილი დროის სიმბოლური განსახიერებაა.

2003 წელს "პოეზიის სასახლე" არქიტექტორთა კავშირების საერთაშორისო ასოციაციის კონკურსში პირველი პრემიით – "წლის საერთაშორისო ობიექტი" – დაჯილდოვდა.

"ეს შენობა მემორიალია, რომელიც დაიბადა საუკუნეთა და ათასწლეულთა გზაგასაყარზე, პოსტსაბჭოთა და ახალი საქართველოს გზაგასაყარზე", – ასეთად მოიაზრებენ "პოეზიის სასახლეს" მისი გულშემატკივრები.

"პოეზიის სასახლეს" დიდი ხნის ისტორია აქვს. საბჭოთა პერიოდში აქ რესტორანი "სამადლო" იყო, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში კერძო მეპატრონის ხელში გადავიდა და იქ ახალი შენობის მშენებლობა დაიწყო. ბევრი ფიქრობდა, რომ რესტორანს სასტუმრო შეცვლიდა. დაუსრულებელი მშენებლობა 1998 წელს საზღვარგარეთ მოღვაწე ბიზნესმენმა თემურ ქარჩავამ შეიძინა.

"არქიტექტურა მხოლოდ ფართი და მშენებლობა კი არა, კულტურაა. საფრანგეთი ხომ ტრიუმფალურ თაღთან ასოცირდება, ეგვიპტე-პირამიდებთან, ჩემი და დამკვეთისმოსაზრებები ამ მხრივდაემთხვა. გადაწყდა, აშენებულიყოისეთი ნაგებობა, რომელიც იქნებოდა სიმბოლო ახალი საქართველოსი და არქიტექტურული ტაძრის კავშირისა ბუნებასთან.

დამკვეთმა მითხრა: "ეს თუ ასეთი ლამაზი იქნება, ფუნქციას მე მოვუძებნი". ასე დავიწყეთ შენება", აღნიშნა პროექტის ავტორმა.

ძველი შენობის რეკონსტრუქცია 1999 წელს დაიწყო. 2001-2003 წლებში კი სამივე კოშკი პროექტის ავტორმა საკუთარი ხელით გამოძერწა. დასრულებულ სახეს ნაგებობა, სავარაუდოდ, წელიწად-ნახევარში მიიღებს.

"პოეზიის სასახლე", რომელიც პრეზენტაციებისა და საღამოებისთვისაა განკუთვნილი, სამსართულიანია. პირველ სართულზე ვესტიბიულის ჯგუფის სათავსოები, მეორეზე – სამზარეულო და ბარი, მესამეზე კი ერთი დიდი და სამი მცირე ზომის საპრეზენტაციო დარბაზია განთავსებული.

"როდესაცასე ებრძვიან სიტყვას, ამ შენობის აგება ტაძრის აგებას, პოეზიის განახლებას ნიშნავს", – აღნიშნა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილმა.

გუშინდელ შეხვედრაზე გამოითქვა სურვილი, რომ "პოეზიის სასახლის" საპატიო პრეზიდენტად პოეტი ანა კალანდაძე დაინიშნოს.